



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 172

10 03 2015წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტ ნინო მეგენიშვილის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლისა და 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის № 89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:


1. ცენტრის იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტი, ნინო მეგენიშვილი, დაინიშნოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად.
2. ნინო მეგენიშვილის ფუნქციად განისაზღვროს საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებულ კორესპონდენციებში დასმულ საკითხებზე გადაწყვეტილების დროულად მიღების უზრუნველყოფა და საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებულ კორესპონდენციაზე ხელმოწერა.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს სპეციალისტ ნათია ჯულელის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ“ საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 05 იანვრის №04 ბრძანება.

4. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი



თამარ მახარაშვილი